ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2545957

ნომერი: AR1395513

თარიღი : 12.04.2016

გაცემის თარიღი : 20.04.2016

გაცნობის თარიღი : 20.04.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩეხოვის , N 28-30 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ კასრელიშვილი პ/ნ 01014001326
- თბილისი რ.ინანიშვილის ჩიხი N 17

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის AR1395513 12.04.2016 წ. პასუხად გაცნობებთ: ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხი უნდა იქნეს განხილული ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულიების საკითხთა კომისიაზე, რისთვისაც საჭიროა, ამავე განაცხადზე ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და საკითხი დააყენოთ ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატებაზე. შესაბამისად წარმოდგენილ უნდა იქნეს:

- სქემა არსებული და საპროექტო მონაცემების ჩვენებით;
- დასაბუთების ალბომის Pdf ფაილი;

- ფოტომონტაჟი Pdf ფაილი;
- სიმაღლის განსაზღვრის სქემის Pdf ფაილი ;
- შენობის საცხოვრებელი ფუნქციით დატვირთვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე;

- სრულყოფილი დასაბუთება პარკირების სქემით/სქემებით, ბინების და ავტოსადგომების რაოდენობის მითითებით, რაც ასევე უნდა აისახოს განმარტებით ბარათში.

დოკუმენტაცია უნდა ატვირთოთ Tas.ge-ზე ამავე განაცხადის დახარვეზებულ და დამატებით ველებში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 30 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტების წარმოსადგენად; დანიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.